



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„დამტკიცებულია“

„დამტკიცებულია“

რექტორი

პროფ. გიორგი ონიანი

დეკანი

ასოც. პროფ. გოდერძი ვაჭრიძე

აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 7
29 იანვარი 2009 წელი

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 7
23 იანვარი 2009 წელი

საბაკალავრო პროგრამა

ისტორია

1. პროგრამის დასახელება: ისტორია

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი (ისტორია)

Bachelor of Arts (History)

3. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის და სტრუქტურული ერთეულების დასახელება

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის დეპარტამენტი, მსოფლიო

ისტორიისა და პოლიტოლოგიის დეპარტამენტი.

4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ზოგადი ცოდნა და ორიენტაცია ისტორიის მეცნიერების შესახებ. ის დაეუფლება კვლევის, წყაროების ანალიზის მეთოდოლოგიას და საშუალებებს ისტორიის ყველა ქრონოლოგიურ ეტაპთან მიმართებაში, ანტიკურობიდან დღევანდლობამდე.

საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის პერიოდების სწავლება სწავლის შედეგად სტუდენტს შეეძლება წარსულის კრიტიკული აღქმა და იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გააზრება, რომელიც არსებობს წარსულსა და დღევანდლობას შორის.

შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები

ზოგადი კომპეტენციები:

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარს;
- პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარს;
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარს;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს;
- სწავლისა და ცოდნის მუდმივი დანახლების უნარს;
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარს;
- კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარს;
- განსხვავებული აზრების პატივისცემას და ჯგუფში მუშაობის უნარს;

დარგობრივი, სპეციფიკური კომპეტენციები:

- კაცობრიობის წარსულის კრიტიკული გააზრება და აწყმოსა და მომავალზე წარსულის გაცლენის გაგება;
- ისტორიული მოვლენების, პერიოდების და ქრონოლოგიური ჩარჩოს ზოგადი ცოდნა(საქართველოს და მსოფლიო ისტორიის);
- სხვადასხვა სახის ისტორიული კვლევის, მიდგომებისა და მეთოდების ცოდნა და გამოყენების უნარი;
- პირველად და მეორად წყაროებთან მუშაობა და მათი გამოყენების უნარი ისტორიოგრაფიული პრობლემის გადასაწყვეტად;
- სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ღირებულებების და თავისებურებების ცოდნა და პატივისცემა.

- **დასაქმების სფეროები**

ბაკალავრის საქმიანობის სფეროებია: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, მუზეუმები, არქივები, ტურისტული ბიუროები, ადგილობრივი თვითმმართველობის და მართველობის ორგანოები. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მას-მედიის საშუალებები.

5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები

აბიტურიენტის განათლების წინამორბედი დონეა სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (სახელმწიფოებს შორის) შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.

6.პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./ს/ლაბ.	კრედი-ტა-რაოდენობა	სემესტრები								წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
პროგრამის სავალდებულო კურსები (150 კრედიტი)													
1	უცხო ენა	3	0.3.0.0	15	5	5	5						
2	აკადემიური წერა	3	0.3.0.0	5	5								
3	ისტრიულ მეცნიერებათა შესავალი	3	2.1.0.0	5	5								
4	მასობრივი კომუნიკაციების შესავალი	3	2.1.0.0	5	5								
5	ფილოსოფიის შესავალი	3	2.1.0.0	5	5								
6	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	3	2.1.0.0	5	5								
7	საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა	3	2.1.0.0	5		5							
8	საქართველოს ისტორია (უძვ. დრ. მე-11 ს-მდე)	3	2.1.0.0	5		5							
9	საქართველოს ისტორია (XI-XII სს.)	3	2.1.0.0	5			5						
10	საქართველოს ისტორია XIII-XV სს.	3	2.1.0.0	5				5					
11	საქართველოს ისტორია XVI-XVII ს.	3	2.1.0.0	5					5				
12	საქართველოს ისტორია XVIII საუკუნეში	3	2.1.0.0	5						5			
13	საქართველოს ისტორია (1801-1917წ.წ.)	3	2.1.0.0	5							5		
14	საქართველოს ისტორია (1918-2000წ.წ.)	3	2.1.0.0	5								5	
15	ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია	3	2.1.0.0	5		5							
16	ანტიკური ქვეყნების ისტორია	3	2.1.0.0	5		5							
17	მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობა	3	2.1.0.0	5		5							

18	შუა საუკუნეების ისტორია (I)	3	2.1.0.0	5			5					
19	შუა საუკუნეების ისტორია (I I)	3	2.1.0.0	5			5					
20	ახალი ისტორია (I)	3	2.1.0.0	5				5				
21	ახალი ისტორია (I I)	3	2.1.0.0	5					5			
22	უახლესი ისტორია (I)	3	2.1.0.0	5						5		
23	უახლესი ისტორია (I I)	3	2.1.0.0	5							5	
24	მსოფლიო ისტორიოგრაფია	3	2.1.0.0	5						5		
25	ქართული ისტორიოგრაფია	3	2.1.0.0	5						5		
26	შავი ზღვის რეგიონის ქვ. ისტორია	3	2.1.0.0	5						5		
27	აზიის ქვეყნების ისტორია	3	2.1.0.0	5					5			
28	რუსეთის ისტორია	3	2.1.0.0	5					5			
პროგრამის არჩევითი კურსები (20 კრედიტი - 4 კურსი)												
	არჩევითი კურსი - 1	3	2.1.0.0				5					
1.1	ისტორიის დამხმარე დისციპლინები(არქეოლოგია,ქრონოლოგია)											
1.2	ეთნოლოგია											
	არჩევითი კურსი - 2	3	2.1.0.0				5					
2.1	ანთროპოლოგია											
2.2	საქართველო ისტორიული გეოგრაფია											
	არჩევითი კურსი - 3	3	2.1.0.0					5				
3.1	ვენის სისტემა											
3.2	რეფორმაცია და კონტრეფორმაცია ევროპაში											
	არჩევითი კურსი - 4	3	2.1.0.0						5			
4.1	ნაციონალ-სოციალიზმი											
4.2	სამუზეუმო და საარქივო საქმე											
	თავისუფალი კრედიტები			10							10	
	დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები			60			10	10	10	10	10	10
	სულ			240	30	30	30	30	30	30	30	30

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/პ/ს/ლაბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული.

7. პროგრამით გათვალისწინებული კურსების მოკლე ანოტაციები.

კურსის კოდი: HLB0030

აკადემიური წერა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველი ერის ისტორიული განვითარების გზა, ქართული ენის წარმოშობა და მისი თეორიები, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა, განვითარების ეტაპები, ქართული ენის ურთიერთობა სხვა ენებთან, დიალექტები და ურთიერთობა სალიტერატურო ენასთან, ქართული ენის ნორმირების საკითხები.

სტილის რაობა, სტილისტიკის დარგები, ფუნქციური სტილი, სადა, ანუ პროზაული მეტყველებისა და მხატვრული მეტყველების სტილი, სადა მეტყველებისა და პოეტური მეტყველების სტილი. სტილის შექმნის ენობრივი რესურსები, სტილისტური ნორმის ცნება.

ენობრივი ერთეულების პრაგმატული ფაქტორები, ლოგიკური აზროვნების კანონები. სიტყვის ემოციური იერი, შეფასების მომენტი, სიტყვათა ხმარების სფერო, ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზები. ენის ფრაზეოლოგიურ საშუალებათა სტილური ფუნქციები. ენის გამომხატველობითი საშუალებანი.

საკურსო, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომთა ენა და სტილი.

კურსის კოდი: SHB0020

ისტორიულ მეცნიერებათა შესავალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ისტორია-როგორც მეცნიერება, საქართველოს ისტორია, როგორც მსოფლიო ისტორიის შემადგენელი ნაწილი, საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროები და ისტორიოგრაფია, საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება, საქართველო-კავკასია და გარე სამყარო, უძველესი ადამიანის წარმოშობის პრობლემა და საქართველო. "დმანისელი ადამიანი"-პირველი ევრაზიელი. "დიდი კოლხური" კულტურა, მეფე აიეტი და აიეტიანები არგონავტები, ეგრის-კოლხეთის სახელმწიფო ძვ.წ VI-III საუკუნეებში, ქართლის(იბერიის) სახელმწიფოს წარმოშობა ძვ.წ IV-III საუკუნეებში, მეფე ფარნავაზი, ქრისტიანობის წარმოშობა და მისი გავრცელება საქართველოში, ქრისტიანობის რთული და მნიშვნელოვანი საქართველოს ისტორიისა და კულტურაში

საქართველოს ისტორია, ქართული კულტურა და ცივილიზაცია კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, აფროევრაზიისა და მსოფლიო ისტორიის განუყოფელი და ორგანული ნაწილი

კურსის კოდი: SGB0110

მასობრივი კომუნიკაციის შესავალი: (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მასობრივი კომუნიკაციის არსი და მასმედის ინსტიტუციური ბუნება; მასობრივი კომუნიკაციის პროცესი; კომუნიკატორი, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სუბიექტი; შეტყობინება, როგორც მასობრივი კომუნიკაციის შინაარსი; არხი, როგორც ტექნიკურ-კომუნიკაციური სისტემა; აუდიტორია და მასობრივი კომუნიკაცია; მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე მიმდინარეობები

კურსი წარმოადგენს წინაპირობას სხვა დისციპლინათა შესასწავლად

კურსის კოდი: SFB0530

ფილოსოფიის შესავალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოსოფიის აზრი და წარმოშობა, ფილოსოფიის პერიოდიზაციის მოკლე მიმოხილვა, ფილოსოფია და მეცნიერება, ფილოსოფიის საგანი,

მსოფლმხედველობის არსი და ტიპები, სამყარო და ადამიანი, ყოფიერების ფორმები, გონი და კულტურა, კანონზომიერების პრობლემა, კანონი და მისი ფუნქციები, ფილოსოფიის ძირითადი კატეგორიები, ფსიქიკა და ცნობიერება, შემეცნების თავისებურებანი, ფილოსოფიური ტერმინების, ცნებების და თეორიული მიმართულების ზოგადი დახასიათება, დეტერმინიზის პრობლემა, მეტაფიზიკისა და დიალექტიკის თავისებურება, ადამიანის პრობლემა(ანთროპოლოგია), საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, პოლიტიკურ-სამართლებრივი სტრუქტურა, ერი და კაცობრიობა, ტექნიკური გაუფხობების პრობლემა.

კურსის კოდი SWB0440

საერთაშორისო ურთიერთობათა შესავალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საგანი, მეთოდი, ლიტერატურა, საკითხის ისტორიოგრაფია, საერთაშორისო ურთიერთობანი და დოკუმენტები ანტიკურ ეპოქაში, საერთაშორისო ურთიერთობანი შუა საუკუნეებში, ახალი ერის- კაპიტალიზმის ხანის საერთაშორისო ურთიერთობანი კრომველი, ნაპოლეონი, ტალეირანი, მეტერნიხი, ბისმარკი, XX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობანი. ლოიდ-ჯორჯი, კლემანსო, ვუდრო ვილსონი, ჩერჩილი, რუზველტი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი, თეთჩერი.

კურსის კოდი: SHB0300

საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: წყაროთმცოდნეობა მეცნიერებათა სისტემაში,დამხმარე ისტორიული დისციპლინები,ისტორიული წყარო, წყაროთმცოდნეობითი კვლევის მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი, ძველი ქართული მწერლობის ძეგლების წყაროთმცოდნეობითი ანალიზი, ქართული ისტორიული საბუთების კორბუსი, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ისტორიულ მეცნიერებათა შესავალი, (საქართველოს ისტორია).

კურსის კოდი: SHB0290

საქართველოს ისტორია (უძვ. დრ. მე-11 ს-მდე) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ისტორია- როგორც მეცნიერება; საქართველოს ისტორია, როგორც მსოფლიო ისტორიის შემადგენელი ნაწილი; საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემატიკა; საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროები და ისტორიოგრაფია; საქართველოს ბუნებრივ- გეოგრაფიული გარემო და ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება; საქართველო და გარესამყარო; უძველესი ადამიანის წარმოშობის პრობლემა და საქართველო; "დმანისელი ადამიანი" პირველი ევრაზიელი."დიდი კოლხური" კულტურა. მეფე აიეტი. ეგრის-კოლხეთის სახელმწიფო ძვ. წ. VI-III საუკუნეებში; ქართლის სამეფოს წარმოშობა ძვ. წ. IV-III საუკუნეებში, მეფე ფარნავაზი; ქრისტიანობის წარმოშობა და მისი გავრცელება საქართველოში, ვახტანგ გორგასალის ეპოქა, არაბობა საქართველოში, ახალი ქართული პოლიტიკური ერთეულების წარმოშობა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ისტორიულ მეცნიერებათა შესავალი ,(საქართველოს ისტორია).

კურსის კოდი: SHB0250

საქართველოს ისტორია XI-XII სს. (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველო XI საუკუნეში (გიორგი I ,ბაგრატ IV, გიორგი II),საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობები XI საუკუნეში, ჯვაროსნული ლაშქრობები

და საქართველო, საქართველო დავით IV აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების ეპოქაში, მეფე თამარი

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საქართველოს ისტორია (უძვ. დრ. მე-11 ს-მდე)

კურსის კოდი: SHB0060

საქართველოს ისტორია XIII-XV სს. (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გიორგი IV ლაშა, მონღოლთა ბატონობის ხანა საქართველოში, გიორგი V ბრწყინვალე- საქართველოს ერთიანობის აღდგენა და მონღოლთა ბატონობის დასასრული, თემურ-ლენგის ლაშქრობები საქართველოში, საქართველო XV საუკუნის II ნახევარში- ერთანი სამეფოს დაშლა სამეფო-სამთავროებად.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საქართველოს ისტორია XI-XII სს.

კურსის კოდი: SHB0260

საქართველოს ისტორია XVI-XVII (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართლის სამეფო დარბაზის 1490 წლის დადგენილება. საქართველო და საერთაშორისო ურთიერთობები მე-16 საუკუნის I-ნახევარში. ქართული პოლიტიკური ერთეულები მე-16 საუკუნის II- ნახევარში და ახლო აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. ირან-ოსმალეთის ზავები XVI- XVII სს. და საქართველო. აღმოსავლეთ საქართველო მუსულმანი მმართველების ხანაში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საქართველოს ისტორია XIII-XV სს.

კურსის კოდი: SHB0350

საქართველოს ისტორია XVIII (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები მე-18 საუკუნის I-მეოთხედში. ერეკლე II -სა და თეიმურაზ II -ის გამეფება ქართლ-კახეთში. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულები მე-18 საუკუნეში. ირან-საქართველოს ურთიერთობები მე-18 საუკუნის II ნახევარში. გეორგიევსკის ტრაქტატი. კრწანისის ტრაგედია. საქართველო მე-18-19 სს. მიჯნაზე.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საქართველოს ისტორია XVI-XVII

კურსის კოდი: SHB0270

საქართველოს ისტორია (1801-1917წ.წ.) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიის წყაროები და ისტორიოგრაფია; ქართველი ერის ბრძოლა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მე-19 საუკუნეში და მისი ეტაპები; ცვლილებები საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში; რუსეთის ბატონობის განმტკიცება ამიერკავკასიაში, საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შემოერთება ; გლეხთა ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ და საგლეხო რეფორმის გატარება; რუსეთის I ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და საქართველო; პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება, მათი პროგრამები და ტაქტიკა; I მსოფლიო ომი და საომარი ოპერაციები კავკასიის ფრონტზე; 1917 წლის თებერვლის რევოლუცია და ცარიზმის დამხობა; მიერ საქართველოს დაპყრობა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საქართველოს ისტორია XVIII სს.

კურსის კოდი: SHB0280

საქართველოს ისტორია (1918-2000წ.წ.) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა; დემოკრატიული რესპუბლიკის(1918-1921წწ.) საშინაო და საგარეო პოლიტიკა; საქართველო-რუსეთის 1921წლის თებერვალ-მარტის ომი და საბჭოთა რუსეთის აგრესია საქართველოში. საქართველო 1921-39 წლებში. II მსოფლიო ომი და საქართველო. საქართველო 1945-88 წლებში. დამოუკიდებლობის აღდგენა და მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მოვლენები საქართველოში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საქართველოს ისტორია (1801-1917წ.წ.)

კურსის კოდი: SWB0590

ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საგანი, ქრონოლოგიური და გეოგრაფიული ჩარჩოები. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის წყაროები. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი. ძველი ეგვიპტის ისტორიის წყაროები, ბუნებრივი გარემო, მოსახლეობა. არქაული და ძველი სამეფოს ეგვიპტე. ახალი სამეფოს ეგვიპტე. გვიანი სამეფოს ეგვიპტე. ძველი შუამდინარეთი. შუმერები და აქადელები. ძველი ბაბილონი, ხამურაბის ეპოქა. ხეთების სახელმწიფო და საზოგადოება. ძველი პალესტინა. ძველი ასურეთის სახელმწიფო და საზოგადოება. ურარტუს სახელმწიფო და საზოგადოება. აქემენიდური ირანი, კიროს დიდი. დარიოს დიდი და მისი რეფორმები. ქალდეური ბაბილონი. ლიდიის სახელმწიფო და საზოგადოება. ძველი ინდოეთი, წყაროები, მოსახლეობა, ბუნებრივი გარემო. უძველესი ცივილიზაციები ინდოეთის ტერიტორიაზე.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ისტორიულ მეცნიერებათა შესავალი

კურსის კოდი: SWB0580

ანტიკური ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ძველი საბერძნეთის წყაროები და ისტორიოგრაფია. კრეტა-მიკენის ეპოქა. ჰომეროსის საკითხი მეცნიერებაში და ჰომეროსის ეპოქის საზოგადოება. დიდი ბერძნული კოლონიზაცია. სოლონის რეფორმები. პისისტრატეს ტირანია და კლისთენეს რეფორმები. ბერძენ-სპარსელთა ომიანობა. პერიკლე და ათენეს მონათმფლობელური დემოკრატია. პელოპონესის ომი. მაკედონია, ფილიპე II. ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლური ლაშქრობები. ელინიზმი და ელინისტური სახელმწიფოები. ძველი რომის ისტორიის წყაროები და ისტორიოგრაფია. რომის დაარსების საკითხი, მეფე რომში. რესპუბლიკის დამყარება რომში, ადრეული რესპუბლიკა. პუნიკური ომების მიზეზები, I პუნიკური ომი..II.და III პუნიკური ომები. რომი და ელინისტური სახელმწიფოები. ძმები გრაკხუსების რეფორმები. მარიუსი და მისი სამხედრო რეფორმა. სულას დიქტატურა. მონათა აჯანყებები რომის რესპუბლიკის ხანაში. გაიუს იულის კეისარი. სამოქალაქო ომი კეისარსა და პომპიუსს შორის. ოქტავიანე ავგუსტუსი, პრინციპატის დამყარება. რომის იმპერია, პრინციპატი. რომი იმპერია, დომინატი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ისტორიულ მეცნიერებათა შესავალი

კურსის კოდი: SWB0170

მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობა(5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: წყაროთმცოდნეობის თეორია და პრაქტიკული საკითხები ზოგადად და მსოფლიო ისტორიის შესაბამის მონაცემებში. განიხილება სხვადასხვა ხასიათის

წყაროები პრესის მასალები, საპარლამენტო, დიპლომატიური, სახელმწიფო ორგანოების დოკუმენტები, მემუარული ლიტერატურა, კინოფოტოდოკუმენტები და სხვა. ანტიკური წყაროთმცოდნეობის განვითარება XIX საუკუნის II ნახევარში მითოლოგია, როგორც ანტიკური ისტორიის წყარო. საბერძნეთის ისტორიის წყაროები: ლოგოგრაფოსები, ჰეროდოტე, ქსენოფონტე, ევორე, თეოპომპე, არისტოტელე, პოლიბიოსი, დიოდორე სიცილიელი, დიონისე ჰალიკარნასელი, სტრაბონი, ნიკოლოზ დამასკელი, პლუტარქე, არიანე, აპიანე, დიონ კასიუსი. რომის ისტორიის წყაროები: ანალები, კატონ უფროსი, ციცერონი, ცეზარი, კორნელიუს ნეპოტი, სალუსტიუს კრისპუსი, ტიტუს ლივიუსი, ველიუს პატერკულუსი, პომპეუს ტროგუსი, ვალარიუს მაქსიმუსი, კურციუს რუფუსი, სენეკა, კვინტილიანე, ტაციტუსი, პლინიუს უმცროსი, სვეტონიუსი, ფლორუსი, მარკუს ავრელიუსი, ამიანე მარცელინე, ევტროპიუსი, ავგუსტინე, ოროზიუსი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ისტორიულ მეცნიერებათა შესავალი.

კურსის კოდი: SWB0560

შუა საუკუნეების ისტორია (I) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შუა საუკუნეების ქრონოლოგიური ჩარჩოები და ფეოდალიზმის არსის გაგება, წყაროები შუა საუკუნეების ისტორიაში, დასავლეთ ევროპა ანტიკურობისა და შუა საუკუნეების მიჯნაზე, კრიზისი რომის იმპერიაში, ბიზანტიის წარმოშობა, იუსტინიანე დიდი, ძველი გერმანელები, ხალხთა დიდი გადასახლება, ბარბაროსული სამეფოები რომის იმპერიის ტერიტორიაზე, ფეოდალიზმის განვითარება ფრანკთა სახელმწიფოში, საფრანგეთი IX-XI, გერმანია. იტალია და პაპობა IX-XI, ინგლისი IX-XI, შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობა, ჯვაროსანთა ლაშქრობანი, გერმანია. იტალია და პაპობა XII-XIII, ინგლისი XII-XIII, საფრანგეთი XII-XIII, ასწლიანი ომი, ინგლისი და საფრანგეთი ასწლიანი ომის შემდეგ, გერმანია. იტალია და პაპობა XIII-XV, ესპანეთი და პორტუგალია XI-XV საუკუნეებში, დასავლეთ ევროპის ქვეყნების შუა საუკუნეობრივი კულტურა V-XIII, ადრინდელი აღორძინება და ჰუმანიზმი იტალიაში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების ისტორია.

კურსის კოდი: SWB0550

შუა საუკუნეების ისტორია (II) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ევროპა გვიანდელ შუა საუკუნეებში, კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმოშობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და კოლონიალური სისტემის წარმოშობა, გერმანია რეფორმაციისა და გლეხთა დიდი ომის ეპოქაში, რეფორმაცია შვეიცარიაში, კონტრეფორმაცია, იტალია XVI საუკუნესა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ინგლისი XVI საუკუნეში, საფრანგეთი XVI საუკუნესა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ესპანეთი XVI საუკუნესა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუცია. ჰოლანდია XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში, გერმანია აუგსბურგის ზავის შემდეგ ოცდაათწლიანი ომი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: შუა საუკუნეების ისტორია (I)

კურსის კოდი: SWB0030

ახალი ისტორია 1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ახალი დროის ისტორიის საგანი, ისტორიული შინაარსი და პერიოდიზაციის სადისკუსიო პრობლემები; ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია XVII ს. შუახანებში; სტიუარტების რესტავრაცია და 1688-89 წწ. გადატრიალება; ინგლისის ჩრდილოამერიკული კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და აშშ შექმნა;

საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია; დირექტორია და კონსულობა საფრანგეთში; საფრანგეთის პირველი იმპერია; ვენის კონგრესი და საღვთო კავშირის შექმნა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: შუა საუკუნეების ისტორია(II)

კურსის კოდი: SWB0020

ახალი ისტორია 2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საფრანგეთი 1815-1870წწ; ინგლისი 1815-1870წწ; გერმანია 1815-1870წწ; იტალია 1815-1870წწ; ავსტრია 1815-1870წწ; აშშ 1815-1860წწ; „ვენის სისტემა“ და მისი კრახი; 1848-1849წწ. რევოლუციები საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიასა და ავსტრიაში; სამოქალაქო ომი აშშ-ში და რესტავრაციის პერიოდი; საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, იტალია, ავსტრია და აშშ 1870-1914წწ; საერთაშორისო ურთიერთობა 1870-1914წწ; პირველი მსოფლიო ომი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ახალი ისტორია (I)

კურსის კოდი: SWB0530

უახლესი ისტორია (I) 1918-1945 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა, გადმოცემულია პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ბრძოლა ახალი საერთაშორისო ურთიერთობებისა და წესრიგისათვის: განხილულია ისეთი ქვეყნების ისტორიული განვითარების ძირითადი მომენტები, როგორცაა გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, აშშ 1918-1939 წლებში, ნაციონალ-სოციალიზმი, იტალიური ფაშიზმი, ევროპის წამყვანი ქვეყნების და აშშ განვითარების ძირითადი ეტაპი ომებს შორის პერიოდში და მეორე მსოფლიო ომი, დიდი ყურადღება ეთმობა ისეთი ახალი ფენომენის გააზრებას მსოფლიო-ისტორიული მოვლენების ფონზე ცალკეულ ქვეყნებთან მიმართებაში, როგორც იყო კომუნისტური ტოტალიტარიზმი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ახალი ისტორიის I და II ნაწილი

კურსის კოდი: SWB0520

უახლესი ისტორია (II) 1945-დღემდე (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ბრძოლა მსოფლიოში ჰეგემონობისათვის ორ ბლოკურ სისტემას შორის, ცივი ომი ”ახალი წესრიგის” საკითხები, დასავლეთ ევროპის ქვეყნების და აშშ განვითარება. სსრკ დეზინტეგრაცია, ახალი ათასწლეულის პრობლემები და გამოწვევები. ცალკე თემებადაა წარმოდგენილი გერმანიის პრობლემა და ორი გერმანული სახელმწიფოს მეორე გაერთიანება გფრ, დიდი ბრიტანეთი, აშშ, საფრანგეთი, იტალია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: უახლესი ისტორიის I ნაწილი

კურსის კოდი: SWB0180

მსოფლიო ისტორიოგრაფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეს სალექციო კურსი ეძღვნება ისტორიული მეცნიერების განვითარების და მის აქტუალურ პრობლემებს ახალ და უახლეს დროში. განხილულია ფრანგულუი, გერმანული ბრიტანული, იტალიური, აშშ სხადასხვა მიმართულების ისტორიული სკოლები ასევე რადიკალური მარქსისტული ისტორიოგრაფია. განხილულია ცალკეული მსხვილი თემების ისტორიოგრაფია, ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის, 1848-49 წლების რევოლუციების.საფრანგეთ-პრუსიის ომის და გერმანიის იმპერიის შექმნის.აშშ სამოქალაქო ომის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის,აშშ-ს კოლონიური ექსპანსიის ისტორიოგრაფია. I მსოფლიო ომის ისტორიოგრაფია. ისტორიოგრაფია უახლეს პერიოდში, II მსოფლიო ომის ისტორიოგრაფია წარმოდგენილია მიმართულებები, ნეოლიბერალური,ლიბერალური,კონსერვატორული, ნეოკონსერვატორული, სოციალ-რეფორმისტული ისტორიოგრაფია XXს-50-იანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: უახლესი ისტორიის I ნაწილი

კურსის კოდი: SHB0310

საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფია თანამედროვე მეცნიერებათა სისტემაში. ისტორიოგრაფიის თეორიული საკითხები, ძველი და შუა საუკუნეების ქართული საისტორიო აზროვნების განვითარება, ახალი და უახლესი ეპოქის საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ისტორიულ მეცნიერებათა შესავალი, (საქართველოს ისტორია).

კურსის კოდი: SWB0540

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: 1848-1849 წლების რევოლუცია რუმინეთში; რუმინეთი XIX ს-ის ბოლოს; რუმინეთი XX საუკუნის დასაწყისში; რუმინეთი და ტრანსილვანია პირველ მსოფლიო ომში; რუმინეთი XX ს-ის 20-30-იან წლებში; რუმინეთი მეორე მსოფლიო ომში და შემდეგ; 1944-1947 წლების რევოლუცია. თანზიმათი თურქეთში, 1876 წლის კონსტიტუცია; 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ბულგარეთის განთავისუფლება; სან-სტეფანოს ზავი; ბერლინის კონგრესი; ოსმალეთის XX ს-ის დასაწყისსა და პირველ მსოფლიო ომში; თურქეთი 1919-1929 წლებში; თურქეთი 1929-1945 წლებში; თურქეთი 1945-1960 წლებში; თურქეთი – მესამე რესპუბლიკა; საქართველო-თურქეთის ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე; ბულგარეთი და საბერძნეთი პირველ მსოფლიო ომის დროს; ბულგარეთი XX ს-ის 20-30-იან წლებში; საბერძნეთი XX ს-ის 20-30-იან წლებში; ბულგარეთი და საბერძნეთი მეორე მსოფლიო ომის დროს, უკრაინა-საქართველოს ურთიერთობანი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ახალი ისტორიის I და II ნაწილი

კურსის კოდი: SWB0050

აზიის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ჩინეთის დაპყრობა მანჯურთა მიერ. ტაიპინების გლეხთა ომი და "ტაიპინ ტინგოს" სახელმწიფოს შექმნა ჩინეთი მე-19 საუკუნის ბოლო მესამედში. ჩინეთი მე-20 საუკუნის დასაწყისში. "სინხაის" რევოლუცია და რესპუბლიკის შექმნა. ჩინეთი პირველ მსოფლიო ომში, ჩინეთი 1918-1933 წლებში. ჩინეთ-იაპონიის ომი. ჩინეთი მეორე მსოფლიო ომში 1949 წლის რევოლუცია. ჩინეთი 1950-იანი 60-იან წლებში. ჩინეთი მე-20 საუკუნის ბოლოს. ოსტინდოეთის კომპანიის შექმნა, სიპაების აჯანყება(1857-58 წლებში) ინდოეთი მე-19ს ბოლო მესამედში განდი და განდიზმი. ინდოეთი მე-20ს დასაწყისში და I მსოფლიო ომში. ინდოეთი მე-20ს 20-30-იან წლებში II მსოფლიო ომში და ომის შემდგომი პერიოდი, ინდოეთი მე-20ს 60-70იან წლებში და მე-20ს ბოლოს. იაპონია ტოკუგავას სეგუნატის დროს. 1868წ. რევოლუცია და მისი შედეგები. რუსეთ იაპონიის ომი. ქვეყანა I მსოფლიო ომში. იაპონია მე-20ს 20-30იან წლებში და მეორე მსოფლიო ომში. დამარცხებული ქვეყანა ომის შემდგომ. იაპონია მე-20ს 50-60-იან წლებში და მე-20ს ბოლოს. ავღანეთი მე-19ს ბოლოსა და მე-20ს დასაწყისში, I მსოფლიო ომი. ავღანეთი მე-20ს 20-30იან წლებში II-მსოფლიო ომი, მე-20ს 50-60-იან წლებში. ავღანეთი მე-20ს ბოლოს

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ახალი ისტორიის I და II ნაწილი

კურსის კოდი: SWB0400

რუსეთის ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რუსეთის ისტორიის წყაროები და ისტორიოგრაფია. ადრეფეოდალური რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება (კიევის რუსეთი). "ნორმანული თეორია". რუსეთი "იაროსლავ ბრძენის" და მისი მემკვიდრეების დროს. მონღოლთა ბატონობა რუსეთში. რუსეთი XV-XVI სს. ივანე მრისხანეს მეფობა და ლივონიის ომი. რომანოვების დინასტიის გამეფება. პეტრე I-ის მეფობა. რუსეთი პეტრე I-ის მემკვიდრეების დროს ეკატერინე-II. ნაპოლეონის ლაშქრობა რუსეთში. დეკაბრისტების აჯანყება. რუსეთ-თურქეთის ომები მე-19 ს.-ში და ბალკანეთის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. რეფორმები მე-19 ს.-ის ბოლო მეოთხედის რუსეთის იმპერიაში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საქართველოს ისტორიისა და შუა საუკუნეების ისტორია

კურსის კოდი: HAB0370

ისტორიის დამხმარე დისციპლინები (არქეოლოგია, ქრონოლოგია) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დროის აღრიცხვის მეთოდების ქრონოლოგიური ერების (სისტემების) შესწავლა და უამრავი სათარიღო მონაცემების პრაქტიკულად გაცნობა. ზოგადი ქრონოლოგიის პრინციპები, საქართველოში ქრონოლოგიის საკითხების შესწავლა, ისეთი ყველაზე გავრცელებული ერების (სისტემების) შესახებ, როგორებიცაა: 5968 წლიანი (მალალასი "ქვეყნის გაჩენიდან"), 5604 წლიანი (ქართული "დასაბამითგან"), 5508 წლიანი ("ზიზანტიური" ქვეყნის გაჩენიდან), 5490 წლიანი (ალექსანდრიული "ქვეყნის გაჩენიდან"), 776 წლიანი ("ოლიმპიური"), 754 წლიანი (რომის დაარსებიდან), 532 წლიანი (ქრონიკონი) და სხვ. დროის აღრიცხვის მდგომარეობა ძვ. ეგვიპტეში, შუამდინარეთში, ჩინეთში, ძვ. საბერძნეთში, მაიას ტომებში, რომში, საქართველოში. კალენდარის მოკლე ისტორია და ქრონოლოგიის სხვა პრაქტიკული საკითხები.

არქეოლოგია თანამედროვე მეცნიერებათა სისტემაში; არქეოლოგიური პერიოდიზაცია; არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორია საქართველოში; არქეოლოგიური ძეგლების ძიებისა და კვლევის მეთოდები; პალეოლითი საქართველოში; საქართველოს ნეოლითური ძეგლები; ადრებრინჯაოს ხანა; თრიალეთის კულტურა; კოლხური კულტურა; ბრინჯაოს ხანის საიუველირო ხელოვნება; სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი კოლხეთში არქეოლოგიური მასალების მიხედვით; ადრეანტიკური ხანა; დიდი ბერძნული კოლონიზაცია და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი; ელინისტური სამყარო და საქართველო; კოლხური ოქრომჭედლობა; რომაული სამყარო და საქართველო; ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ანტიკური ხანის საქართველოში; ადრემშუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები; განვითარებული შუასაუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები; გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ახალი ისტორიის I და II ნაწილი

კურსის კოდი: HAB0251

ეთნოლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველთა ეთნიკური ისტორია. ქართველთა განსახლების არეალი. ქართველთა აღმნიშვნელი სახელწოდებები. ქართველთა დემოგრაფიული მდგომარეობა და ანთროპოლოგიური დახასიათება ქართული დამწერლობა, ენა და დიალექტები აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის თემები. ქართველთა მატერიალური კულტურა: დასახლების ფორმები. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები; ქართველთა ტანთჩაცმულობა სოციალურ ურთიერთობათა ფორმები; ქართველური საკუთარი სახელები და ანთროპონიმიული მოდელი. შიდა მიგრაციული პროცესები. საოჯახო ყოფა. ნათესაობის სისტემა. ტერიტორიული თემი. ქართველთა სულიერი კულტურა: საქორწინო და დაკრძალვის წეს-ჩვეულებები, ხალხური აღზრდის წესები, ქართული ფოლკლორი. სტუმართმოყვარეობის ხალხური ტრადიციები. ეთნოსთაშორისი ურთიერთობები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ისტორიულ მეცნიერებათა შესავალი.

კურსის კოდი: HAB0261

ანთროპოლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ანთროპოლოგიის კვლევის საგანი, ადამიანთა ჯგუფის ან საზოგადოების აღწერა, ადამიანთა მრავალფეროვნება (რასები), ადამიანი დედამიწის ყველა კუთხეში, მათი თანამედროვე და უძველესი ყოფა, ადამიანთა უშუალო წინაპრებიდან დღევანდელ ადამიანამდე, ადამიანთა ცვლილებები დროში და სივრცეში, შესასწავლი ადგილის ისტორია, ფიზიკური გარემო, ოჯახური ცხოვრების ორგანიზაცია, ენის ზოგადი ნიშნები, სიტყვის მაგიური დანიშნულება, ჯგუფის დასახლების მოდელი, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, რელიგია, ხელოვნების სტილი, სამოსი და სხვა... ფიზიკური და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს შორის არსებული კავშირები;

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ისტორიულ მეცნიერებათა შესავალი

კურსის კოდი: SHB0341

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველოს ისტ-გეოგრაფიის ძირითადი ქართული და უცხოენოვანი წყაროები. ისტორიოგრაფია საქართველოს და ქართველების, საქართველოს ცალკეული კუთხეების ძველი ქართული და უცხოენოვანი სახელები. ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიული მიმოხილვა. საქართველოს სამეფო სამთავროები მე-7 - მე-10 საუკუნეებში. საქართველოს ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბება. გვიან-შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიული მიმოხილვა. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება რუსეთის იმპერიის ხანაში. ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში.

საქართველოს ტერიტორიის ჩამოყალიბება საჰქოთა რუსეთის ოკუპაციის ხანაში. კავკასიის ისტორია და ისტორიული გეოგრაფია. დასავლეთ საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიული მხარეები. ისტორიული ტაო - კლარჯეთი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი. ისტორიულ გეოგრაფიული ტერმინები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ისტორიულ მეცნიერებათა შესავალი

კურსის კოდი: SWB0391

რეფორმაცია და კონტრეფორმაცია ევროპაში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ჰუმანისტური მოძრაობა გერმანიაში ერაზმი, როიხლინი, ულრიხ ფონ ჰუტენი, ლუთერის მოძღვრება "95 თეზისი", ლუთერანობა, მიუნცერი, აუგსბურგის სარწმუნოება და აუგსბურგის ზავი, ცვინგლი, კალვინი და კალვინიზმის გავრცელება ევროპაში. კათოლიკური რეაქცია ანუ კონტრეფორმაცია, იეზუიტთა ორდენი, მათი მოძღვრება და მოღვაწეობა ევროპაში, ინკვიზიცია, ტრიდენტის საეკლესიო კრება, კათოლიკური რეაქცია და პაპობა. კონტრეფორმაციის წარმატებანი XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: შუა საუკუნეების ისტორია(II)

კურსის კოდი: SWB0121

ვენის სისტემა(5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ვენის სისტემის ეტაპები და მისი დახასიათება, ვენის კონგრესი, დასკვნითი აქტი; საღვთო კავშირის ჩამოყალიბება, მისი კონგრესები; 20-იანი წლების რევოლუციები იტალიასა და ესპანეთში და საღვთო კავშირი; ინგლისის ჩამოცილება ოთხთა კავირისაგან. მონროს დოქტრინა; აღმოსავლეთის საკითხი, საბერძნეთის რევოლუცია და ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკა, საღვთო კავშირის დაშლის დასაწყისი; 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომი, ანდრიანოპოლის ტრაქტატი; 30-იანი წლების რევოლუციები საფრანგეთში, ბელგიასა და პოლონეთში და ევროპული სახელმწიფოების დამოკიდებულება; თურქეთ-ეგვიპტის კონფლიქტი 19 საუკუნის 30-იან წლებში და ევროპულ სახელმწიფოთა პოზიცია; 1840-1841 წწ. ლონდონის კონვენციები სრუტეების შესახებ, ვენის სისტემის კრიზისი; 1848-49 წლების რევოლუციები და ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკა; ყირიმის ომი, პარიზის ტრაქტატი, ვენის სისტემის კრაზი, ვენის სისტემის ისტორიული მნიშვნელობა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ახალი ისტორია (I)

კურსის კოდი: SWB0211

ნაციონალ-სოციალიზმის ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნაციზმის ჩასახვა-განვითარება, პერიოდიზაცია, ნაცისტური იდეოლოგია, ანტისემიტიზმი, ნსდაპ-ს ჩამოყალიბება, ადოლფ ჰიტლერი, ანტონ დრექსლერი "ჩემი პოლიტიკური გამოღვიძება" მიუნხენის წარუმატებელი პუტჩი, "მაინ კამპფი" ნაციზმის სამინაო პოლიტიკა, ნაციზმის საგარეო პოლიტიკა, ნაციზმი და დაპყრობილი ხალხები, ნაციზმის სამხედრო ტრადიცია, ნაციზმის განადგურება და დენაციონალიზაციის პრობლემები ომის შემდგომ გერმანიაში

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: უახლესი ისტორიის I ნაწილი

კურსის კოდი: SHB0331

სამუზეუმო და საარქივო საქმე (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შესავალი-ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონზე: მუზეუმის მართვის ამოცანები, მართვის როლი მუშაობაში, სამუზეუმო ორგანიზაციის სტრუქტურა, მუზეუმების მართვის მეთოდი, მართვის ფუნქციები, დაგეგმვა, პოლიტიკა, სხვა ორგანიზაციასთან ურთირთობა, დამთვალიერებელთა მომსახურება, ფინანსური დაგეგმვა და განვითარება, შმოსავლის წყაროები და მისი მართვა, მუზეუმის თანამშრომელთა სამსახურებრივი მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ისტორიულ მეცნიერებათა შესავალი.

უცხო ენა 1 (ინგლისური HEB0400 , რუსული HSB0530, ფრანგული HFB1070, გერმანული HFB1060) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ენის ასპექტების წერის, კითხვის, მოსმენის, საუბრის სწავლება: წერაში სტუდენტი შეისწავლის წინადადების აგების ნორმებს; აზვაციის ორგანიზაციას; მთავარი, განმავითარებელი და შემაჯამებელი წინადადებების წერას; აზვაციის სახეობებს, საქმიანი ქაღალდების შედგენას. კითხვაში სტუდენტი დაეუფლება კითხვის სხვადასხვა მეთოდს კითხვის მიზნების შესაბამისად: დეტალური ინფორმაციის, ზოგადი ინფორმაციის, მთავარი ინფორმაციის (ტექსტის სწრაფი კითხვით) მიღებისათვის.

მოსმენაში სტუდენტი განვიითარებს მოსმენის საბაზო უნარ-ჩვევებს აუდიო-ვიდეო მასალის გამოყენებით. **საუბარში** სტუდენტი შეიძენს მარტივი დიალოგისა და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა იდენტობა, პროფესია, ოჯახი, მსოფლიო და თანამედროვე პრობლემები. ზემოთ ხსენებული უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვას ეფუძნება, რომელთა ურთიერთქმედება სწავლების მაღალეფექტურობასა და ინტენსივობას უზრუნველყოფს.

კურსის კოდი:

უცხო ენა 2 (ინგლისური HEB0420, ფრანგული HFB1040, გერმანული HFB0890, რუსული HSB0550) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კურსი ითვალისწინებს ენის ოთხივე ასპექტის უფრო მაღალ დონეზე დაუფლებას: წერაში სტუდენტი შეისწავლის ესსეს წერის პრინციპებს, შესავალი, ძირითადი და დასკვნითი აზვაციების სპეციფიკას, ესსეს ტიპებს და საქმიანი მიმოწერის წარმოებას. კითხვაში სტუდენტი დაეუფლება მაღალი დონის ადაპტირებული და ორიგინალი ტექსტის კითხვის პრინციპებს. **მოსმენაში** სტუდენტი განვიითარებს მშობლიურ ენაზე მოსაუბრის მეტყველების გაგების უნარ-ჩვევებს. **საუბარში** სტუდენტი შეიძენს დიალოგის და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა დანაშაული და სასჯელი, ეკონომიკა, მედიცინა, ეკოლოგიური პრობლემები, მსოფლიო უსაფრთხოება. ამავე დონეზე ხდება სპეციალური (დარგობრივი) ტერმინოლოგიის შესწავლა და დარგობრივი ტექსტების დამუშავება. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** უცხო ენა 1-ის დაუფლება.

კურსის კოდი:

უცხო ენა 3 (ინგლისური HEB0430, ფრანგული HFB0910, გერმანული HFB0910, რუსული HSB0580) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კურსი ითვალისწინებს ენის ოთხივე ასპექტის კომპლექსურ სწავლებას. სწავლების ამ დონეზე ხდება წერის, კითხვის, მოსმენის, საუბრის უკვე არსებული უნარ-ჩვევების ინტეგრირება და მათი დახვეწა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სპეციალური ტერმინოლოგიის შესწავლასა და დარგობრივი ტექსტის დამუშავებაზე. ამავე ეტაპზე ხდება პრესის ენის შესწავლა და დარგობრივი სამეცნიერო სტატიების დამუშავება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: უცხო ენა 2-ის დაუფლება

8. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააზარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.